H-F-H
History-Film-History

1990-იანი წლების დასაწყისი გაერთიანებული სამეფოს კინოინდუსტრიისთვის ბნელი პერიოდი იყო. თუმცა, ათწლეულის განმავლობაში, Film4, PolyGram და Working Title-მა თავისი წვლილი შეიტანეს, რათა ბრიტანული ფილმები მიმზიდველი გამხდარიყვნენ საერთაშორისო და შიდა აუდიტორიისთვის.

ისეთმა ფილმებმა, როგორიცაა რიჩარდ კერტისის „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა“ და „ნოტინგ ჰილი“, ასევე დენი ბოილის „არც ისე ღრმა საფლავი“ და „ჩხირკედელაობა“ ბრიტანული კინოს ბედი შეცვალეს და საინტერესო და ფინანსურად მიმზიდველ ინდუსტრიად აქციეს.

1994 წელს, ეროვნული ლატარიის დაფინანსების დამატებამ ხელი შეუწყო ინვესტიციების გაზრდას ბრიტანულ სრულმეტრაჟიან ფილმებში: თუ 1992 წელს ბიუჯეტი იყო 169 მილიონი ფუნტი, 1996 წელს მან 560 მილიონი ფუნტი შეადგინა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა 128 ბრიტანული ფილმი, მაშინ როცა 1989 წელს ეს ციფრი მხოლოდ 30-ს შეადგენდა.

მე-4 არხმა 1990-იან წლებში დააფინანსა და რამდენიმე წარმატებული ფილმი გამოუშვა, თითოეული მათგანი რთულ საკითხებს იკვლევდა. 1993 წელს მან დააფინანსა "ბეჰაჯი პლაჟზე", ბრიტანელი აზიელი ქალი კინორეჟისორის, გურინდერ ჩადჰას სარეჟისორო დებიუტი, რომელიც დაწერილი იყო მსახიობ/მწერალ მერა სიალთან ერთად.

ეს არის კომედია ბირმინგემელ აზიელ ქალთა ჯგუფზე, რომლებიც ავტობუსით ერთდღიან ტურზე მიემგზავრებიან ბლექპულის ზღვისპირა კურორტზე და გადაწყვეტილი აქვთ „ქალური გართობა მოაწყონ“. ფილმი განიხილავს ბრიტანელ აზიელებს შორის იდენტობის ცნებებს, განსაკუთრებით, ბრიტანელი აზიელი ქალების ცხოვრებას.

მეორე თაობის აზიელი ემიგრანტების კულტურული იდენტობის თემა მთავარი კომპონენტი იყო ფილმის წარმატებაში კომერციული და კრიტიკის თვალსაზრისით. ამან ბევრ ისეთ ფილმს მოუტანა წარმატება, რომლებიც

კულტურულ განსხვავებებს იკვლევდნენ, ერთ-ერთი მათგანია 1999 წელს გადაღებული „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი“.

ქალი მგზავრების შემადგენლობაში არიან: კრიტიკულად განწყობილი კონსერვატიული უფროსი "დეიდები", რამდენიმე მოზარდი, რომლებსაც ბიჭების გაცნობა სურთ, დედა, რომელიც გაურბის მოძალადე ქმარს და განქორწინება სურს, პლუს სამედიცინოს სტუდენტი "ჰაშიდა", მეორე თაობის ინდოელი ქალი. ის პირველად გაგვეცნო ორსულობის დადებითი ტესტით, რაც, როგორც ჩანს, მიუღებელია "დეიდებისთვის", როდესაც გაიგებენ, რომ მისი მეგობარი ბიჭი დასავლეთ ინდოეთიდან არის.

ზღვის გარემო იზიდავს პერსონაჟებს კოლექტიური, სასიამოვნო გამოცდილების მიღების პოტენციალის გამო, რომელსაც შეუძლია ინდივიდუალური იდენტობებისა და შფოთვის გადაფარვა. სინამდვილეში კი, ეს სანაპირო ზოლი კონფლიქტს წარმოშობს და იდენტობას გამოწვევას უცხადებს, ან განახლებისკენ მოუწოდებს.

სოლიდარობისა და მეგობრული ურთიერთობების ცნებები თაობებს შორის სრულად ჩნდება მოგვიანებით, როდესაც ქალები სახლისკენ, ბირმინგემში ბრუნდებიან. ქალები იკრიბებიან მოგზაურობაში, რომელიც აღმოჩენების მოგზაურობად იქცა, როდესაც მათ თეთრკანიანი რასისტები უპირისპირდებიან. მიუხედავად იმისა, რომ თაობები ერთმანეთს ეჯახებიან ტრადიციული ღირებულებების სხვა საკითხებში, როგორიცაა ვალდებულება, მოვალეობა, პატივი და თავგანწირვა, ეს ინციდენტი მათ აერთიანებთ.

ფილმში სამი ძირითადი თემა დომინირებს: საკვები, ოჯახი და ორმაგი ცხოვრება... საკვები და მისი მომზადება და მოხმარება ერთმანეთთან აკავშირებს სცენებს, აღნიშნავს ინდური კულტურის სიმბოლოებს და წარმოადგენს ფილმის სათაურის ნაწილს. ფილმის რამდენიმე სცენა, სადაც საკვების ერთად მირთმევა ინდური ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს, ასევე უჩვენებს მაყურებელს იმის მაგალითს, თუ როგორ იცვლება ბრიტანეთში მეორე თაობის ინდოელების დამოკიდებულებები.

ოჯახის მნიშვნელობა აქ ძალზედ გამოხატულია, როდესაც ქალების ჯგუფი ქმნის (მხოლოდ ქალურ) ერთმანეთისთვის გაფართოებულ ოჯახს, რომლის წევრები არ არიან სისხლით ნათესავები, მაგრამ ინდური საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

არსებობს რამდენიმე მცდელობა მთავარი გმირების მხრიდან, შექმნან ფარული პასაჟი, რომელიც მათ ოცნებებსა და ამბიციებამდე მიდის, რომელიც შეიძლება არ იყოს მოწონებული მათი ახლობლების ან თუნდაც მეგობრების მიერ. ამგვარად, ეს

პერსონაჟები იძულებულნი არიან დაიწყონ მეორე, ოფიციალურისაგან განცალკევებული ცხოვრება.

ბრიტანეთში მცხოვრები ინდური საზოგადოების სახის ფართო აუდიტორიასთან მიახლოების მცდელობისას, ჩადჰამ შეისწავლა კულტურათაშორისი კონფლიქტი, ასევე თაობათა შორის არსებული უფსკრული და სექსიზმი.

ჩადჰამ მოინდომა შეესწავლა ცნება, რომელიც მოიცავს აუტსაიდერთა სამ თაობას, რომლებიც მუდმივად ცვალებად საზოგადოებაში ცხოვრობენ. "ისტორიულად, კულტურული და რასობრივი განსხვავებები პრობლემურად ითვლებოდა; ჩემთვის ეს განსხვავება საზეიმოა."

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA